ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გორში დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულებს 20 და 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

გვ.5



გვ.5

გლდანულაში 1 პირი მოკლეს

3 პირი დაკავებულია

სამშაბათი, 21 ივნისი, 2022 №120 (8898) ფასი: 80 თეთრი

„ან ბიძინა ივანიშვილი, ან ევროკავშირი!“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ქართულმა ოცნებამ“ რეფორმები სრულიად შეგნებულად არ გაატარა“

„დიდი ბრძოლა გვჭირდება. ქვეყანა ისტორიულ გზაგასაყარზე დგას. ასეთი შანსი სახელმწიფოს საუკუნეში ერთხელ ან რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ეძლევა“

„ყველგან პრობლემა გვაქვს — ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, სამოქალაქო საზოგადოებაში“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ხალხი არის ცალკე, თავის პრობლემებით, თავის გაჭირვებით ცხოვრობს და ჩვენი პოლიტიკური ელიტა თავის ცხოვრებით ცხოვრობს“

გვ.4

„ივანიშვილი კი არა, მას რომ ჯიბეში ჩაისვამენ, ისეთი რუსი ოლიგარქები მიჩუმდნენ“

შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ იდეაზე არ დგას და მის დაშლას არაფერი უნდა“

ბექა დავითულიანი: „ივანიშვილი ოლიგარქი არც ყოფილა და არც არის“

გვ.3

გვ.2



„საქართველოსაც მისცემდნენ ავანსად სტატუსს, მსოფლიოში თავი რომ არ ჰქონდეს მოჭრილი „ქართულ ოცნებას“

4 გახარიას გუნდმა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გეგმა შეიმუშავა

5 გორში ტაძრიდან ფული მოიპარა

6 ბორელი: „მილიონობით ტონა მარცვლეული უკრაინაში ბლოკირებული რჩება“

6 ქალმა მოზარდი სექს-სათამაშოდ აქცია და ციხეში ამოჰყო თავი

1993230720223

„ყველგან პრობლემა გვაქვს – ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, სამოქალაქო საზოგადოებაში“

გია ხუხაშვილი: „ხალხი არის ცალკე, თავის პრობლემებით, თავის გაჭირვებით ცხოვრობს და ჩვენი პოლიტიკური ელიტა თავის ცხოვრებით ცხოვრობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, მთავრობამ ცოტა ტონი შეიცვალა. ღარიბაშვილმა ჩხუბით აღარ დაიწყო გუშინდელი მთავრობის სხდომა. პირიქით, ყველა ვალდებულების შესასრულებლად მზად ვართო. რა ხდება, რატომ შეიცვალა ტონი ხელისუფლებამ?

– ფაქტია, რომ ქვეყანას მიაყენეს უმძიმესი ზარალი და ახლა ცდილობენ, რომ ამ სიტუაციიდან როგორღაც გამოძვრნენ. ვითომ არ იმჩნევენ. მეტ გზას ვერ ხედავენ, ამიტომ არ იმჩნევენ იმას, რაც მოხდა. უნდათ, რომ ეს აღშფოთება, რაც ხალხშია დაგროვილი, რაღაცნაირად აიცილონ.

– აქციის ფონზე სჭირდებოდათ ასეთი განცხადებები?

– დიახ, მაგრამ მათ მიმართ ნდობა რომ ნულია, ესეც ხომ ყველას კარგად გვესმის. ეს პირობები ხომ არ არის რაღაცა ახალი?! რა, ახლა გავიგეთ?! ეს არის პირობები, რომელიც 10 წლის განმავლობაში ამ ქვეყნის ხელისუფლებას ცხვირში ურტყამდნენ, თუ ევროკავშირიდან და თუ ქვეყნის შიგნიდან და არაფერი არ გააკეთეს ამ 10 წლის განმავლობაში. მეტსაც გეტყვით, უტიფრად ამბობდნენ, რომ არ გავაკეთებთო. ხელმოწერილი დოკუმენტის ანულირებაც კი გააკეთეს და ახლა გვეუბნებიან, რომ თურმე ამ პირობებს შეასრულებენ 6 თვეში.

ნდობა არის? ნდობა ამ ხელისუფლებისადმი არ არის! ესენი მუშაობენ ასე, გადაგორების რეჟიმში. ოღონდ ახლა გადააგორონ და მეტი არაფერი. თუ სჭირდებათ, იყვირებენ, თუ სჭირდებათ, თავს მოისაწყლებენ და ნიანგის ცრემლებს გადმოყრიან. ანუ, რაც სჭირდება ძალაუფლების შენარჩუნებას, ყველაფერზე წამსვლელები არიან! არანაირი წითელი ხაზები, რაიმე მორალური სტანდარტები, ან ღირსების შეგრძნება, რომ შეცდომა აღიარონ, არა აქვთ! ქამელეონებივით არიან, ნებისმიერ ტყავში გაეხვევიან, ნებისმიერ დროს!

– ანუ თქვენ არ გაქვთ მოლოდინი, რომ იმ წინაპირობებს, რაც ევროკავშირმა წამოგვიყენა, შეასრულებს „ქართული ოცნება“?

– საიდან უნდა მქონდეს ეს მოლოდინი?! რის საფუძველზე?! არ არსებობს არანაირი საფუძველი.

– მაშინ რა უნდა ვქნათ, უნდა შევცვალოთ „ოცნების“ ხელისუფლება? ისე ხომ ვკარგავთ ევროპულ პერსპექტივას?

– ეს არის მარტივი, დემოკრატია ასე მუშაობს, ხელისუფლება არის მსახური და არა ბატონი. ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, ნიშნავს ხელისუფლებას იმისათვის, რომ მისი დავალება შეასრულოს. თუ ხელისუფლება არ ასრულებს ამ დავალებას, საზოგადოებამ უნდა აიძულოს მაქსიმალურად. თუ მაინც არ ასრულებს, მაშინ უნდა გაუშვას სახლში და მოიყვანოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ დავალებას შეასრულებს! ასე მუშაობს დემოკრატია, სხვანაირად არ მუშაობს.

– ბატონო გია, მართალია დაიდო ევროკომისიის დასკვნა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას 24 ივნისს ველოდებით. არის სულ მცირე შანსი, ან პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, რომ დასკვნის საწინააღმდეგოდ წავიდნენ და მოგვცენ კანდიდატის სტატუსი?

– რა თქმა უნდა, ამის თეორიული შანსი არსებობს, მაგრამ ძალიან მცირე. იმიტომ, რომ პირიქით კიდევ შეიძლებოდა, დავუშვათ ევროკომისიას დადებითი დასკვნა დაედო და სამიტზე უარი ეთქვათ, ამის შანსები ყოველთვის უფრო მეტია. რადგან იქ ბევრი ქვეყანა ზის და ყველას შეიძლება თავისი მოსაზრება ჰქონდეს, მათ შორის, ბლოკირების. როდესაც კომისია უარყოფით დასკვნას დებს და ისედაც განწყობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არაერთგვაროვანია ევროკავშირში, აი ასეთ ვითარებაში რისი იმედი უნდა გვქონდეს?!

– არ გამორიცხავთ, რომ უკრაინის და მოლდოვისთვისაც შეიცვალოს სიტუაცია?

– ამის შანსი უფრო მეტია, რომ იმათაც არ მისცენ, ვიდრე იმის შანსი, რომ ჩვენ რამე მოგვცენ.

– რამდენად შესრულებადია ეს პირობები და რა შანსები გვაქვს? 6 თვეში შეასრულებს ამ საშინაო დავალებას ხელისუფლება?

– შეუსრულებელი აქ არაფერი არ არის, ამას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება, მეტი არაფერი არ სჭირდება, რომელიც არ არსებობს. ეს ხელისუფლება ახლა იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ეს პირობები შეასრულოს, იმაზე ფიქრობს, ახლა, ამ რთულ ვითარებაში, როგორ გამოძვრნენ აქედან. აი ამაზე ფიქრობენ. როგორც კი ამოსუნთქვის საშუალებას მისცემ, მაშინვე ისევ ჯოხით მოგადგებიან. ამის გამოცდილება ხომ გვაქვს?! ერთხელ გააკეთეს თუ ორჯერ?! რომ დასჭირდათ, იტირეს, თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებზე, პირველ და მეორე ტურს შორის რა მოხდა, გახსოვთ? ჩვენ ვნახეთ მტირალი ხელისუფალი, რომელიც პირობას დებდა და იფიცებდა ყველაფერს, რომ ერთ წელიწადში ყველაფერს გამოვასწორებო. როგორც კი გადააგორა არჩევნები, მეორე დღიდან ისევ ჯოხით მოდგა საზოგადოებას. აი ესაა რეალობა. შესაბამისად, რისი იმედი და რისი ნდობა უნდა მქონდეს?!

– ხაზგასმით იყო აღნიშნული სიტყვა ოლიგარქიული მმართველობა. ანუ ივანიშვილიც და „ოცნებაც“ უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან და 2024 წლამდე ეს შესაძლებელია?

– ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ შენ რომ ხელისუფლება შეცვალო, ვიღაც ხომ უნდა მოიყვანო?! სამწუხაროდ, ჩვენ ოპოზიციაც პრობლემური გვყავს. ოპოზიცია გვყავს ახლა ჩვენ წელში გამოყვანილი? რომელსაც ჩავაბარებთ ქვეყანას და მიხედავს რამეს?! ჩვენ მთელი პოლიტიკური ელიტის კრიზისი გვაქვს და აი ეს არის დღეს ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა. თორემ ცუდ ხელისუფლებას, კარგი ოპოზიციით ყოველთვის შეცვლი. თუმცა ოპოზიციაც რომ კომპრომეტირებულია, ამას რა ვუყოთ? მას ვერაფერს ვერ ვუშველით! აი ამით სარგებლობს ყოველთვის ხელისუფალი.

– დიახ, სარგებლობს. ახლა ხელზე დაიხვიეს ელენე ხოშტარიას თემა. ჩვენ გვეძახიან რუსეთუმეებს და თვითონ ფინანსდებიან რუსეთიდანო.

– დიახ, ასეა და ვიღაცა ამას ჭამს! რა შუაშია აქ ხოშტარია, ხოშტარიაზეა მთელი ეს პროცესი წამოკიდებული?! დავუშვათ, ელენე ხოშტარია ცუდია, მერე?! ხოშტარიაა ალტერნატივა?! ასე დგას საკითხი?!

– აქედან გამომდინარე რა იქნება, ასე უნდა მივიდეთ 2024-მდე, რადგან არც ოპოზიციაშია ალტერნატივა?

– არ ვიცი, რა გითხრათ. წესით არ უნდა მივიდეთ თუ ჩვენ საზოგადოება გვქვია. საზოგადოებასაც პრობლემა აქვს. სამოქალაქო საზოგადოება არის თავის სიმაღლეზე?! არც ის არ არის. ყველგან პრობლემა გვაქვს – ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, სამოქალაქო საზოგადოებაში. ცოცხალი ადგილი აღარ დარჩა ამ ქვეყნის ქსოვილზე. ბიძინა ივანიშვილის მთავარი მიღწევა ის არის, რომ სრული დეგრადაცია განიცადა ყველამ და ყველაფერმა. სახელისუფლო შტომ რომ განიცადა, ეს ერთია, მაგრამ სამოქალაქომაც რომ განიცადა, ეს არის უბედურება. ბიძინა იმას კი არ ამტკიცებდა ამ 10 წლის განმავლობაში, რომ თვითონ კარგია და რამე კარგის გამკეთებელია. იმას ამტკიცებდა, რომ ყველა ცუდია. მთელი ქვეყანა ტალახში ამოგანგლა და აი ამ ტალახში ვბანაობთ დღეს. აი ეს არის მისი მთავარი „მიღწევა“ დღეს! ფაქტობრივად, ქვეყანაში ყველა ინსტიტუტის ღირსება, აბსოლუტურად ყველაფერი გაანადგურა. აღარაფერი აღარ დარჩა რა!

– ვადამდელი არჩევნების იდეამ რომ გაიჟღერა, მოვისმინეთ შეფასებები, რომ ამ კანონმდებლობით ჩატარებულ არჩევნებს რა ფასი აქვს, ისევ „ოცნება“ გაიმარჯვებს, მის წისქვილზე ასხამენ წყალსო.

– ეს უკვე არის წვრილმანები და ტექნიკური დეტალები. 2012 წელს ყავლი რომ გაუვიდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ამაზე უარესი სისტემით ჩატარდა არჩევნები, მაგრამ მოვიგეთ ის არჩევნები! კი, სისტემა არის გარკვეული პრობლემა, მაგრამ არ არის გადაულახავი, რომ აი, მაინცდამაინც ხელისუფლება ისარგებლებს და გაიმარჯვებს. ხელისუფლება ისარგებლებს იმ შემთხვევაში, თუ შენ არა ხარ მოწოდების სიმაღლეზე. თორემ, ან მაჟორიტარული როგორ უნდა მოიგოს ამ ხელისუფლებამ?! შენ თუ არა ხარ სათანადო სიმაღლეზე, მოგიგებს, აბა რას იზამს?! კომპრომეტირებულია მთელი პოლიტიკური ელიტა, მთელი სამოქალაქო ელიტა, ყველა და ყველაფერი კომპრომეტირებულია. ხალხი არის ცალკე, თავის პრობლემებით, თავის გაჭირვებით ცხოვრობს და ჩვენი პოლიტიკური და სამოქალაქო ელიტა თავის ცხოვრებით ცხოვრობს. ხიდია ჩატეხილი. ხალხი დღეს ნეგატიურად ფიქრობს. იმას კი არ ფიქრობს, რომელი უკეთესია, არამედ რომელი უარესია.

„საქართველოსაც მისცემდნენ ავანსად სტატუსს, მსოფლიოში თავი რომ არ ჰქონდეს მოჭრილი „ქართულ ოცნებას“

საქართველოსაც მისცემდნენ ავანსად სტატუსს, მთელ მსოფლიოში რომ თავი არ ჰქონდეს მოჭრილი „ქართულ ოცნებას“, არ იცნობდნენ, როგორც „გადამგდებებს“, უპირო და სიტყვის არშემსრულებელ ადამიანებს, განსაკუთრებით ევროპაში, როცა შარლ მიშელის შეთანხმება თავზე გადაახიეს ევროპას, ამის შემდეგ „ქართულ ოცნებას“ არავინ ენდობა.

ასე ეხმიანება „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატი პაატა მანჯგალაძე ჟურნალისტებთან პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომ უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი ავანსად მისცეს.

მანჯგალაძის განცხადებით, მავნებლობაა ასევე განცხადებები, რომ სტატუსი საქართველოს არ მისცეს, რადგან ქვეყანამ ომი არ დაიწყო.

– რეალურია ყველა რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გასცა ევროპულმა კომისიამ, მაგრამ ეს არარეალურია „ქართული ოცნების“ პირობებში, რადგან მათ არ სურთ საქართველოს ევროპაში ინტეგრაცია, დეოლიგარქიზაციას, მით უმეტეს, ვერ განახორციელებს ოლიგარქი, ამიტომ ჩვენ გვექნება კონკრეტული შეთავაზებები, ოპოზიცია გამოვა კონკრეტული ინიციატივებით, რომლითაც ხელისუფლებას ერთობლივ სამუშაო ფორმატებს შევთავაზებთ.

რაც შეეხება იმ სისულელეს ან მიზანმიმართულ მავნებლობას, რომ საქართველოს არ მიანიჭეს სტატუსი, რადგან ომი არ დავიწყეთ, ამაზე აშშ-ის ელჩმა განაცხადა, რომ ეს არის 100 პროცენტით რუსული ნარატივი, ვინც ასე საუბრობს. შესაბამისად, ხელისუფლებაში იქნებიან, თუ ხელისუფლების გარეთ ე.წ. ექსპერტები, ვინც ამას ამბობს, რომ ომის დაწყებას გვაძალებდა დასავლეთი და ომი არ დავიწყეთ, ის არის ან სასარგებლო იდიოტი ან მიზანმიმართული მტერი და მოღალატე, – განაცხადა მანჯგალაძემ.

ბანკების მოგება ერთ თვეში 49,6 მლნ ლარით გაიზარდა

2022 წლის მაისში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 159,034 მლნ ლარი შეადგინა. ეს კი აპრილთან შედარებით 49,640 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21,083 მლნ ლარით ნაკლებია.

2022 წელს ბანკების მიერ მიღებული წმინდა მოგება თვეების მიხედვით ასე გამოიყურება:

იანვარი – 212,695 მლნ ლარი; თებერვალი – 90,610 მლნ ლარი; მარტი – 110,181 მლნ ლარი;

აპრილი – 109,394 მლნ ლარი; მაისი – 159,034 მლნ ლარი.

ამასთან, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის მაისში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 581,944 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 455,190 მლნ ლარი. მაისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 385,015 მლნ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 7,530 მლნ ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ 73,954 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 48,693 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

„ქირაობენ ბინებს და რჩებიან შედარებით უფრო გრძელვადიანი პერიოდით“

„ამ უკანასკნელ რამდენიმე თვეში შემოვიდა ძალიან ბევრი უცხოელი, რომლებიც, განსხვავებით ტრადიციული ტურისტისგან (ვინც შემოდიოდა 1-2 კვირით და მერე მიდიოდა), ქირაობენ ბინებს და რჩებიან შედარებით უფრო გრძელვადიანი პერიოდით“ – ამის შესახებ „ინ ჯგუფის“ ხელმძღვანელმა ერეკლე კოკაიამ „ბიზნეს პალიტრაში“ განაცხადა. მისივე თქმით, ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ტურიზმის მატება სასტუმროების ბიზნესზე მეტად, უძრავი ქონების ფასებზე აისახა.

– სტატისტიკის მიხედვით, საკმაოდ დადებითი სურათი შეიქმნა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ შეცვლილია ამ ინდუსტრიის ყოფა-ქცევა. ანუ, ტურისტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი უცხოელი ვიზიტორი, ვინც საქართველოში შემოვიდა 24 საათით, ან მეტი დროით. ამ უკანასკნელ რამდენიმე თვეში შემოვიდა ძალიან ბევრი უცხოელი, რომლებიც, განსხვავებით ტრადიციული ტურისტისგან (ვინც შემოდიოდა 1-2 კვირით და მერე მიდიოდა), ქირაობენ ბინებს და რჩებიან შედარებით უფრო გრძელვადიანი პერიოდით. შესაბამისად, ეს მოგება და შემოსავალი პირდაპირ იმდენად ვერ იგრძნო სასტუმროებმა, რამდენადაც წინა წლებში იგრძნობოდა. ეს უფრო აისახა უძრავი ქონების ფასებზე, რაც თითოეული მოქალაქისთვისაც საგრძნობია. მოიმატა როგორც გაქირავების, ისე, ზოგადად, უძრავი ქონების ფასებმა. შესაბამისად, ეს სტატისტიკა აისახა არა სტუმარ-მასპინძლობის, კონკრეტულად სასტუმროების წარმომადგენლებზე, არამედ უძრავ ქონებაზე, რესტორნებსა და ბარებზე, – განაცხადა ერეკლე კოკაიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ან ბიძინა ივანიშვილი, ან ევროკავშირი!“

მურმან დუმბაძე: „ქართულმა ოცნებამ“ რეფორმები სრულიად შეგნებულად არ გაატარა“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ევროკომისიამ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებისთვის ხელისუფლებას წლის ბოლომდე მისცა ვადა. როგორ ფიქრობთ, საშინაო დავალებას „ქართული ოცნება“ შეასრულებს?

– მე ვთქვი, რომ ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ მოგვცემდა უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით. მე ეს თქვენთან ინტერვიუში მაქვს ნათქვამი.

რაც შეეხება 12-პუნქტიან პირობას, ჩემს

ოპოზიციონერ კოლეგებს, ბევრ მათგანს სჯერა, რომ ხელისუფლება ახლა, ხელებს დაიკაპიწებს და ზედმიწევნით ხუთიანზე შეასრულებს ამ დავალებას. ნუ მოტყუვდებით, მეგობრებო! არაფრის შემსრულებელი და გამკეთებელი არ არის „ქართული ოცნება“. ღრმა შეცდომაში არიან ჩემი კოლეგები, რომლებსაც სჯერათ, რომ მიშელის დოკუმენტს შეასრულებს ხელისუფლება. ბიძინა ივანიშვილს რეფორმები და საკონსტიტუციო ცვლილებები რომ ნდომოდა, ვინ შეუშლიდა ხელს?!

– ახლა ხომ სხვა რეალობაა?

– არა, მისთვის არავითარი რეალობა არ არსებობს. საკონსტიტუციო ცვლილებები რომ გაატაროს და მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე რომ გადავიდეთ, ეს ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დასრულებას. ამ დამარცხებას ის არ დაუშვებს. ამიტომ, არავითარი გარე ფაქტორები მას ვერ აიძულებს. ერთადერთი ფაქტორი არის ქართველი ხალხი.

„ქართულმა ოცნებამ“ რეფორმები სრულიად შეგნებულად არ გაატარა. არ გაატარა რეფორმები სასამართლო სისტემაში, საარჩევნო სისტემაში, რასაც გვთხოვს ევროკავშირი, მხოლოდ ერთადერთი მიზნით – შეინარჩუნოს ძალაუფლება. ამ რეფორმას ის არ გაატარებს თუ არა ხალხის ძალა და იძულება. ხალხის ძალა და იძულება კი ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს და ხელისუფლების ცვლილებას.

ერთპარტიული მმართველობა, ძალაუფლების აკუმულირება მხოლოდ ივანიშვილის ხელში, ეს არის ხელისუფლებაში ყოფნის გარანტია, მაგრამ ამაზე ევროკავშირმა უარი გვითხრა – დეოლიგარქიზაციაა საჭიროო. ახლა არჩევანი ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს. ან ბიძინა ივანიშვილი, ან ევროკავშირი. ძალიან მარტივია არჩევანი. ხელისუფლების ბალანსი, სახელისუფლო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილება, პარლამენტი, როგორც მაკონტროლებელი, სასამართლო ხელისუფლება და ა.შ. ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნით „ქართულ ოცნებაში“ სრულიად გასაგები მიზეზებით. დემოკრატიული მმართველობა და ძალთა ბალანსი ნიშნავს, „ქართულმა ოცნებამ“ მეორე დღესვე დაკარგოს ხელისუფლება, თავზე ჩამოეშალოთ.

„დიდი ბრძოლა გვჭირდება. ქვეყანა ისტორიულ გზაგასაყარზე დგას. ასეთი შანსი სახელმწიფოს საუკუნეში ერთხელ ან რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ეძლევა“

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება უნდა წავიდეს და ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა აიღონ ხელში ძალაუფლება.

– ფიქრობთ, რომ ხალხი გაბრაზებულია?

– გაბრაზება არ არის საკმარისი. ამ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა, 85% მხარს უჭერს ევროკავშირში ინტეგრაციას. ამ ხალხმა თავისი არჩევანი უნდა დაიცვას, რაოდენ ძვირიც არ უნდა დაუჯდეს. ქართველი ხალხი მარტივად გამარჯვებას ვერასდროს ვერ აღწევდა. ეს გამარჯვება მუდმივად დიდი ბრძოლების ფასად ხდებოდა. ახლაც ეს ისტორიული მომენტია. დიდი ბრძოლა გვჭირდება. ქვეყანა ისტორიულ გზაგასაყარზე დგას. ასეთი შანსი სახელმწიფოს საუკუნეში ერთხელ ან რამდენიმე საუკუნეში ერთხელ ეძლევა.

– ფიქრობთ, ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლება წავა ამ რეფორმებზე? მიიღებს საკონსტიტუციო ცვლილებებს ოპოზიციის დახმარებით, რადგან ხვდება, რომ არ გაუვა?

– მე ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს და ვიცი, რომ პოლიტიკურ თვითმკვლელობას არასდროს არ დათანხმდება. ეს გამორიცხულია. ის ბოლომდე იბრძოლებს და ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენც, ხალხიც, უნდა ვიყოთ ამ ბრძოლისთვის მზად. დეოლიგარქიზაციას ბიძინა ვერ დაასრულებს, ეს ქართველმა ხალხმა უნდა დაასრულოს. მე ვიცი, რომ ასეთი მარტივი არ არის გაზაფხულის მოსვლა, დრო არის საჭირო, მაგრამ გაზაფხული აუცილებლად მოვა. 9 აპრილი თავისით არ მოსულა, ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდების სისხლი გახდა ამისთვის საჭირო. არც 20 ივნისის ღამე დამდგარა თავისით, მაკო გომურის თვალი გახდა ამისთვის საჭირო. არის საქართველოს ისტორიაში თარიღები, პერიოდები, რომლითაც ვამაყობთ და კიდევ ბევრჯერ იამაყებენ ჩვენი შთამომავლები.

– რადგან 20 ივნისი ახსენეთ, გიორგი გახარიასთან ერთად დასხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან?

– მე, პირველ რიგში, პოლიტიკოსი ვარ! დიახ, დავჯდები, მიუხედავად იმისა, კატასტროფული დანაშაული ჩაიდინა. საქართველოში ყველა პოლიტიკოსთან დავჯდები მოსალაპარაკებლად, რომლისთვისაც მთავარია ქვეყნის სუვერენიტეტი და პუტინი არის მიუღებელი.

– ირაკლი კობახიძემ, ოპოზიციის მიზანი არეულობა და ქვეყნის ომამდე მიყვანაა.

– არ ვუპასუხებ კობახიძეს, რადგან არ მჯერა იმ პოლიტიკოსების, რომლებიც ხელისუფლებაში ოპოზიციიდან არ არიან მოსულები. ივანიშვილი იყო ოპოზიციაში და თუ რამე კითხვა ექნება, ნამდვილად ვუპასუხებ.

ბექა დავითულიანი: „ივანიშვილი ოლიგარქი არც ყოფილა და არც არის“

გვეუბნებიან, რომ არის ხარვეზები, რომლის გამოც ჩვენ, უხეშად რომ ვთქვათ, საშემოდგომო გამოგაყოლეთ და იანვრამდე დაგიტოვეთო, კი ბატონო, გავიგეთ. ახლა ეს უნდა აღმოვფხვრათ – ჩვენ ამ ყველაფერს მართლა გავაკეთებთ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, ბექა დავითულიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „პოლიტ-ქალაქში“ ევროკომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე შეფასებით, ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გეოპოლიტიკური ინტერესების გამო არ გასცა.

– ჩვენ არ დაგვჩაგრეს, ჩვენ უბრალოდ გვითხრეს, რომ თქვენ მეტი უნდა გააკეთოთ, უფრო შორს ხართო. ამ ხალხმა რეკომენდაცია ჩვენც, მოლდოვასაც და უკრაინასაც მოგვცა, რეკომენდაციების მოცემის პარალელურად, მათზე ავანსად სტატუსის მინიჭებაზე რეკომენდაცია გასცა, ჩვენ გვითხრა, რომ ჯერ რეკომენდაციები შეასრულეთ, მერე მოგანიჭებთო, – აღნიშნა მან.

მისივე განცხადებით, საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების რეკომენდაციით, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ოფიციალურ დონეზე პირველად დადასტურდა, რაც ევროპისკენ მიმავალ გზაზე ცალსახად წარმატებაა.

– ევროპისკენ მიმავალ გზაზე ცალსახად წარმატებაა, მაგრამ „ტრიოში“ ჩვენ რომ არ მოგვენიჭა და მათ მიენიჭა, რა თქმა უნდა, ეს გულდასაწყვეტია. უკრაინას და მოლდოვას ვერ ჩამოვრჩებოდით, იმიტომ, რომ მათივე შეფასებით, ჩვენ მოლდოვასა და უკრაინაზე რამდენიმე თავით წინ ვართ და რეფორმების განხორციელების კუთხით რამდენჯერმე ვჯობივართ, თუმცა მათ სტატუსი მაინც მიენიჭათ და ჩვენ არა, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა.

ბექა დავითულიანი ევროკომისიის გადაწყვეტილებას მარცხად არ აღიქვამს და აცხადებს, რომ „ეს გუშინწინდელ მდგომარეობაზე უკეთესია, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც ყველა ერთად გუშინ ვისურვებდით“.

მისივე თქმით, მათ ყვითელი ბარათი რომ ეჩვენებინათ, ამ გადაწყვეტილებას სხვა კონტექსტით წარმოადგენდნენ.

– ვიზების საკითხი, ასოცირების დღის წესრიგი, ყველაფერი უფრო გვიან მოგვცეს, ვიდრე უკრაინას და მოლდოვას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ყველაფერში ვაჯობეთ და ამ სიკეთეებით მოსარგებლე უფრო მალე გავხდით. ყველა რეფორმის გატარებაში ვჯობნით, გვიან გვაძლევდნენ და შესრულებულ ვალდებულებებს უფრო ადრე ვაბარებდით, – განაცხადა დავითულიანმა.

მმართველი გუნდის წევრმა, ასევე, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გაცემული შესასრულებელი ვალდებულებების იმ პუნქტზე ისაუბრა, რომელიც ქვეყანაში დეოლიგარქიზაციის აღმოფხვრაზე მიუთითებს.

ბექა დავითულიანის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ქართული პოლიტიკის მოთამაშე უკვე წელიწადზე მეტია, რაც აღარ არის და ის საქართველოში ოლიგარქი არც ყოფილა და არც არის.

– ოლიგარქი ნიშნავს ადამიანს, რომელიც ძალაუფლებას კერძო ინტერესებისთვის იყენებს. ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებით ფულს შოულობს?! ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში ივანიშვილი ოლიგარქი არც ყოფილა და არც არის. მას ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა აღარ აქვს, ევროპის ნაწილი და ოპოზიცია ამბობს, რომ აქვს. გამოსავალი რა არის?! – გამოსავალი არის, ამ მონიტორებთან დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, – განაცხადა დეპუტატმა.

კითხვაზე, თუ რაში ხედავს ის ხელისუფლების პასუხისმგებლობას, დავითულიანი პასუხობს, რომ გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ ასმაგი „ბეჯითობა“ მოეთხოვებოდათ, თუმცა ეს არ გაუკეთებიათ.

– ვინაიდან საქართველოს ევროპასთან პირდაპირი გეოგრაფიული საზღვარი არ აქვს, ვინაიდან უსაფრთხოების რისკი იმ ორ ქვეყანაში დღეს უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან, ჩვენთანაც მაღალია, მაგრამ მაინც, ჩვენ ასმაგი ბეჯითობა მოგვეთხოვება, ვიდრე მათ. ჩვენ ასმაგად არ გვიბეჯითია, იმიტომ, რომ შიდაპოლიტიკურ საკითხებში, შიდა კონიუნქტურას რაღაცებში უფრო მეტი ანგარიში გავუწიეთ, ვიდრე გარეთ. ეს იყო ჩვენი პასუხისმგებლობა, თუ რამე იყო, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

პრემიერი: „17 ივნისს ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება“

17 ივნისს ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში ჩადებული.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველო რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობას დამტკიცებისთანავე დაიწყებს.

– 17 ივნისს ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, რომ საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა. ეს ნამდვილად არის ისტორიული გადაწყვეტილება. ასე რომ, ვულოცავ თითოეულ ქართველს ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას. მეორე, რაც ასევე ევროკომისიამ თავის რეკომენდაციაში ჩაწერა და მიმართა საბჭოს, არის შემდეგი, რომ საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, როგორც კი პრიორიტეტები და პირობები შესრულდება.

ახლა, როგორც კი დაამტკიცებს საბჭო აღნიშნულ რეკომენდაციებს, ჩვენ ბრიუსელთან, რა თქმა უნდა, მაშინვე დავიწყებთ მუშაობას. ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში ჩადებული. არის სხვა საკითხები, რომელსაც ჩვენ გავარკვევთ ბრიუსელთან, ვიმუშავებთ და მივიღებთ კანდიდატის სტატუსს“ – განაცხადა ღარიბაშვილმა.

იანვარ-მაისში ადგილობრივი ექსპორტი 42.7%-ით გაიზარდა

2022 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 2.112.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 37.5 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. მათივე მონაცემებით, ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 75.7 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 42.7 პროცენტით გაიზარდა და 1.599.5 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

„2022 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 81.9 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი (344.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (186.7 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთი (183.1 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-მაისში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 465.9 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 29.1 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები 280.2 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 17.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს აზოტოვანი სასუქები 152.7 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 9.5 პროცენტი)“ – აღნიშნულია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ივანიშვილი კი არა, მას რომ ჯიბეში ჩაისვამენ, ისეთი რუსი ოლიგარქები მიჩუმდნენ“

შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ იდეაზე არ დგას და მის დაშლას არაფერი უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საბოლოო დასკვნას ევროკავშირის საბჭო სტატუსის თაობაზე საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიმართ 24 ივნისს გამოიტანს. ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად, უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი უნდა მიენიჭოთ, საქართველოს კი გადაუვადდეს. წლევანდელი 20 ივნისის მოვლენების გახსენების დღე ამ სიტუაციას დაემთხვა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

– თქვენი აზრით, რა შედეგი ექნება ქვეყნის შიგნით და გარეთ სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიცირებულ მოძრაობას (აქციები სხვადასხვა ქალაქში იმართება) სლოგანით „შინ, ევროპისაკენ“?

– ასეთ აქტივობას ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. შევაფასოთ, რა ვითარებაა, რა გვითხრა ევროპამ აქამდე. ევროპარლამენტმა თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ ივანიშვილი უნდა დასანქცირდეს, ევროკომისიამ კი ერთ-ერთ პირობად წამოგვიყენა დეოლიგარქიზაცია. ერთმა პირდაპირ ივანიშვილის გვარი ახსენა, მეორემ – ოლიგაქიული სისტემა. ამასთან, აღნიშნეს, რომ საქართველოს ხალხი იმსახურებს ევროპულ ოჯახში ყოფნას. მართლაც, ჩვენ ეს ნამდვილად დავიმსახურეთ ჩვენი ძველი ისტორიით, ბრძოლით, რეფორმებით, სწრაფვით ევროპისკენ. ჩვენ გვითხრეს, ხალხი ამას იმსახურებთ, მაგრამ ხელისუფლება გიშლით ხელსო.

– ეს არაპირდაპირ გვითხრეს?

– ევროპარლამენტმა და ევროკომისიამ ეს პირდაპირ გვითხრეს. ამაზე მეტი რაღა უნდა ჩაეწერათ! მათ საქართველოს მოსახლეობა ხელისუფლებაზე წინ დააყენეს. ხალხს ნდობა გამოუცხადეს. მოლდოვას შემთხვევაში სხვა იყო – მოლდოველებს მოუწოდეს, თქვენს პროგრესულ ხელისუფლებას მიჰყევითო.

– უკრაინა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია?

– რასაკვირველია. უკრაინა ჩაბმულია ომში რუსეთთან. უკრაინელები თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის, ევროპული მომავლისთვის სისხლს ღვრიან. ევროპელებმა მიგვანიშნეს, იარეთ დემოკრატიისკენ, რეფორმებისკენ, დეოლიგარქიზაციისკენ და ამაში ჩვენ დაგეხმარებითო. ჩვენ ევროპასთან ერთად უნდა ვიმოქმედოთ. ნიშანდობლივი იყო ევროპარლამენტში შექმნილი რეალობა: ევროპარლამენტის სამმა ფრაქციამ – ლიბერალებმა, კონსერვატორებმა და სახალხო პარტიამ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოსადმი, გამოთქვეს ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების სურვილი. „ქართული ოცნება“ თანამშრომლობს და მეგობრობს ევროპარლამენტის „სოციალისტებთან“. სოციალისტებს ამ თემაზე ხმა არ ამოუღიათ. „ოცნების“ წევრები ოპოზიციას აბრალებდნენ, თითქოს ოპოზიცია ხელს უშლის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიცემას. სინამდვილეში, ამ პროცესს აბრკოლებს თვითონ მმართველი პარტია, ხელისუფლება. საქართველოს დღეს „რუსული“ ხელისუფლება ჰყავს და ეს მოქმედებები აქედან მომდინარეობს.

– საზოგადოების აქტიურობა რას მოიტანს?

– საბოლოოდ, ჩვენ უნდა მივიდეთ არჩევნებამდე. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება თუ ჩვეულებრივი არჩევნები, ამას დრო გამოაჩენს. არჩევნებამდე უნდა გვქონდეს ნორმალური ცესკო, საარჩევნო გარემო, ასევე მისაღებია ანტიკორუფციული ზომები. ეს ყველაფერი ხალხის მოძრაობის შედეგად მიიღწევა.

– დეოლიგარქიზაციის ცნება „ქართულ ოცნებაში“ თავისებურად ესმით. მათი აზრით, ოლიგარქები არიან სააკაშვილი და კეზერაშვილი.

– ეგენი ისეთ მძიმე დღეში არიან, რომ სისულელეებს ლაპარაკობენ. ევროპარლამენტის რეზოლუციაში ივანიშვილის გვარი პირდაპირ რომ წერია, არ იციან?! რა შუაშია სააკაშვილი, კეზერაშვილი? მსოფლიოში ისეთი ტენდენციაა, რომ სააკაშვილის პოლიტიკურ დევნილად აღიარება ხდება. საერთოდაც, ამათ სისულელეებს დიდი ყურადღება არ უნდა მიექცეს. „ოცნება“ სრულ იზოლაციაში ექცევა.

– არჩევნებამდე ხელისუფლება ვერ შეიცვლება.

– ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ, რომ ნორმალური არჩევნები მივიღოთ. ის 20 ივნისი, „გავრილოვის ღამე“, უკავშირდება საარჩევნო სისტემის ცვლილებას.

– მაშინ პროპორციული არჩევნების დაპირებაც იყო, მაგრამ არ შესრულდა.

– 20 ივნისის დარბევის შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეცა დაპირებები. სრულად პროპორციული მოდელი უახლოესი არჩევნებისთვის არ შემოიღო, თუმცა გაზარდა პროპორციული პარლამენტში. ახლა გვინდა სრულად პროპორციული საპარლამენტო არჩევნები დაბალი ბარიერით, რათა მივიღოთ სამართლიანად არჩეული ევროპული პარლამენტი. პარტიები უნდა წარდგნენ ამომრჩევლის წინაშე საკუთარი პროგრამებით, უნდა მოხდეს ნამდვილი იდეოლოგიური დაყოფა. მემარჯვენეები და მემარცხენეები უნდა გამოიკვეთონ. ის კი არ უნდა განმეორდეს, რომ კონსერვატიული ნიშის დაკავებას პრორუსული „ალტ ინფო“ ცდილობს.

– სხვათა შორის, მოლოდოვას ხელისუფლება იმითაც გამოირჩა, რომ არ ახდენს პრორუსული პარტიების წახალისებას. პირიქით, ზოგიერთი რუსეთუმე პარტიის საეჭვო დაფინანსებაზე სკანდალი აგორდა.

– იმიტომ ვამბობთ, რომ მოლდავეთს ჰყავს ევროპული ხელისუფლება. ამას ევროპაშიც ხედავენ. რუსული პარტიები უკრაინაშიც ჩახსნეს. საქართველოში სხვა სიტუაციაა. ისე, ყველამ ყველაფერი ვიცით. მალე გამოაშკარავდება, როგორ ფინანსდებოდა „ალტ ინფო“ საქართველოს ბიუჯეტიდან. დოკუმენტების დადებას ვგულისხმობ. უცხოეთშიც იციან ყველაფერი. უკრაინის დაზვერვა როცა აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მონაწილეობს ანტირუსული სანქციების გვერდის ავლაში, ეს მარტო უკრაინელების ინფორმაცია არ არის. ის ეყრდნობა აშშ-ისა და ბრიტანეთის მონაცემებს. ივანიშვილი კი არა, მას რომ ჯიბეში ჩაისვამენ, ისეთი რუსი ოლიგარქები მიჩუმდნენ.

– სანქციების გამო?

– დიახ. რუს ოლიგარქებს პერსონალური სანქციები დაუწესეს და მათ ამის გამო ყოფა ეტირათ. ზოგიერთი მათგანი უკრაინის დაფინანსებასაც კი აპირებდა, მაგრამ ესეც არ გამოუვიდა. ივანიშვილსაც არ დაუდგება კარგი დღე. მიადგებიან მის გარემოცვასაც, ჩინოსნებს, მოსამართლეებს. პასუხისმგებლობაში მიეცემიან ისინი, ვინც ქართულ ინტერესებს ყიდდა, აზიანებდა. აბა, მეცნიერი ივერი მელაშვილი რომ გამოიყვანეს დამნაშავედ, ესაა საქმე? წეღან ქოცების განცხადებაზე მკითხეთ. სასანქციო სიაში რომ ივანიშვილი ეწერება და არა კეზერაშვილი, მაშინ მაინც ხომ ვერ იტყვიან ქოცები, ივანიშვილი ოლიგარქი არ არისო! ანბანი ყველამ იცის და წაიკითხავენ.

– უახლოეს ხანში რას ელით ხელისუფლებისგან? იძულებული გახდებიან, გაატარონ რეფორმები?

– ეს ხელისუფლება რომ რუსული იყო, საზოგადოების ნაწილმა ჯერ კიდევ 2012 წელს ვიცოდით. გადიოდა წლები და ამას ხვდებოდა უფრო და უფრო მეტი ადამიანი. საქართველოს ხელისუფლებას, ოლიგარქ ივანიშვილს აკრიტიკებენ ევროსტრუქტურები. ივანიშვილს და მის ხროვას მძიმე დრო დაუდგა.

ივანიშვილს, ალბათ, არც ევროპაში ექნება წასასვლელი და არც რუსეთში. რუსეთი მას გაწირავს. ხელისუფლების ქვედა რგოლები დაიწყებენ ზედა რგოლების მხილებას. „ქართული ოცნება“ იდეაზე არ დგას და მის დაშლას არაფერი უნდა. ამათ რომ ჰკითხო, მთელი მსოფლიო ბიძინას და „ოცნებას“ ებრძვის. სინამდვილეში, კი არ ებრძვიან, ამხელენ. „ქართული ოცნება“ ექცევა იზოლაციაში.

გახარიას გუნდმა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გეგმა შეიმუშავა

გახარიას გუნდმა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად კონკრეტული გეგმა შეიმუშავა, რომელზეც ერთობლივი მუშაობის დაწყების თხოვნით „ქართულ ოცნებას“, „ნაციონალურ მოძრაობას“ და ყველა დაინტერესებულ პირს მიმართა.

გეგმის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ხოჯევანიშვილმა დეპუტატებთან ერთად ბრიფინგზე განაცხადა.

გიორგი ხოჯევანიშვილის თქმით, გეგმა პირდაპირ პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს და მასზე მუშაობა დღესვე ერთობლივად უნდა დაიწყოს.

– საქართველო იყო ლიდერი ქვეყანა „ასოცირებულ ტრიოში„“, „ოცნების“ მთავრობის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკის შედეგად, დღეს არა მარტო ეს პოზიცია დავკარგეთ, არამედ ვდგავართ რეალობის წინაშე, რომ ტრიოს 2 ქვეყანა იღებს, ხოლო საქართველო ვერ იღებს კანდიდატის სტატუსს!

ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მარცხი ასოცირებული ტრიოდან ამოვარდნაა და არა ის მოთხოვნები, რომლებიც დაგვიწესეს, რადგან ეს რეფორმები თავად საქართველოს მოქალაქეების ინტერესშია!

დღეს ევროკავშირმა საქართველოს მისცა შესაძლებლობა, რომ 2022 წლის ბოლომდე დავბრუნდეთ დემოკრატიის, ევროპულ, თავისუფლების გზაზე!

სწორედ ამიტომ ჩვენმა გუნდმა წარვადგინეთ რეფორმების და გადასადგმელი ნაბიჯების კონკრეტული გეგმა, რომელიც პირდაპირ პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს და რომელზე მუშაობაც არა ზეგ, მაზეგ, ან 2 კვირაში, არამედ დღესვე ერთობლივად უნდა დავიწყოთ.

ხაზგასმით ვამბობთ, ერთობლივად, რადგან „ოცნების“ ხელისუფლების გარეშე, თუ მან არ აღიარა ის პრობლემები, რაც ქვეყანაში შექმნა და მკაფიო ნება არ გამოხატა მათ გამოსასწორებლად, ვერც გამოასწორებს მათ, ხოლო თუ ოპოზიციის და საზოგადოების ფართო სპექტრი არ იქნება ჩართული ამ პროცესში, ვერ დაიძლევა პოლარიზაცია, რომელიც არის ევროკომისიის მოთხოვნების პირველი პუნქტი.

ეს არის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში კონსტიტუციური მოწყობის სისტემის აღდგენას, ნებისმიერი შემდეგი არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას, ძალაუფლების რეალურ დანაწილებას, ქმედით საპარლამენტო კონტროლს, დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას, რაც, საბოლოო ჯამში, გამორიცხავს ქვეყანაში შემდგომშიც ოლიგარქიულ მმართველობას, – განაცხადა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

გიორგი ხოჯევანიშვილის თქმით, პარტია „საქართველოსთვის“ წევრებს უკვე ჰქონდა კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებსაც გააცნეს კონკრეტული გეგმა. გახარიას გუნდი მოუწოდებს ყველას, საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, 24 ივნისამდე, დღესვე დაიწყონ ერთად მუშაობა.

– თუმცა, რა თქმა უნდა, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ ამ გეგმაზე ერთობლივ მუშაობას, იგულისხმება, რომ ის ღიაა მსჯელობისა და კორექტირებისთვის.

ჩვენ უკვე გვქონდა კომუნიკაცია, როგორც ყველა აქტიური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან, ისე – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და პირადად გავაცანით ჩვენი თხოვნა.

ახლა კი, კიდევ ერთხელ, საჯაროდ მივმართავთ მათ:

გთხოვთ, „ქართულ ოცნებას“, გთხოვთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ და გთხოვთ, ყველა დაინტერესებულ პირს, დღესვე დავიწყოთ მუშაობა, პირველ რიგში, საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, 24 ივნისამდე ვაჩვენოთ ყველას, რომ ქართველებს, მიუხედავად ერთმანეთთან დაპირისპირებისა, როცა საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის, შვილების მომავალს, შეგვიძლია შეთანხმება, რაც მთელს მსოფლიო დაანახებს, რომ შეგვწევს კომპრომისის და დიალოგის უნარი, ვართ ევროპელები და ვართ ევროპული დემოკრატიისთვის მზად!

ეს პროცესი დღესვე უნდა დავიწყოთ და 2022 წლის ბოლომდე ლოგიკურ შედეგამდე მივიყვანოთ, რადგან საქართველოს შევუნარჩუნოთ ევროპული პერსპექტივა და მომავალი, – განაცხადა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

საქართველოდან ყატარში ექსპორტი იზრდება

საქართველოდან ყატარში ექსპორტი იზრდება. საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-მაისში ქვეყნიდან 730.1 ათასი აშშ დოლარის პროდუქტი გავიდა, ეს მაშინ, როდესაც 2021 წელის 5 თვეში ყატარში ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 592.7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში – 149 ათასი აშშ დოლარი, ხოლო, პანდემიამდე, 2019 წლის იანვარ-მაისში 430.7 ათასი აშშ დოლარი.

რაც შეეხება ყატარიდან იმპორტს, მცირდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-მაისში საქართველომ ყატარიდან 726.3 ათასი აშშ დოლარის პროდუქტი შეიძინა, 2021 წლის 5 თვეში 881.9 ათასი აშშ დოლარის, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში – 1,099 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 2019 წელის იანვარ-მაისში – 1,257 მლნ აშშ დოლარის.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რას ვყიდით და ვყიდულობთ ყატარში

2022 წლის იანვარ-მაისში ყატარიდან იმპორტირებული ტოპ-5 პროდუქტი:

პოლიმერები ეთილენის, პირველადი ფორმებით – 687.4 ათასი აშშ დოლარი.

ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გაყინული – 19.9 ათასი აშშ დოლარი.

ავეჯი სხვა და მისი ნაწილები – 7.1 ათასი აშშ დოლარი.

ჭურჭელი სასადილო, სამზარეულო და სხვა სამეურნეო და ტუალეტის ნაწარმი ფაიფურისგან 1.8 ათასი აშშ დოლარი.

ჭურჭელი სასადილო, საოჯახო ნივთები სხვა და ტუალეტის საგნები პლასტმასის 1.5 ათასი აშშ დოლარი.

2022 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან ექსპორტირებული ტოპ-5 პროდუქტი:

ხორცი ცხვრის ან თხის, ახალი, გაცივებული ან გაყინული – 394.4 ათასი აშშ დოლარი.

ცხვრები და თხები ცოცხალი – 100 ათასი აშშ დოლარი.

ელექტრული წყალგამახურებლები – 64.8 ათასი აშშ დოლარი.

ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი – 53.3 ათასი აშშ დოლარი.

ყურძნის ნატურალური ღვინოები – 52.7 ათასი აშშ დოლარი.

ცნობისთვის, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყატარის ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ფორუმზე დასასწრებად საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, დღეს გაემგზავრა.

გლდანულაში 1 პირი მოკლეს

3 პირი დაკავებულია

სისხლიანი გარჩევა გლდანულაში მსხვერპლით დასრულდა.

29 წლის მამაკაცს სასიკვდილო ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს. დაჭრილია კონფლიქტში მონაწილე კიდევ 4 ახალგაზრდა.

შსს განცხადება მას შემდეგ გაავრცელა, რაც მომხდარით ტვ პირველი დაინტერესდა. უწყების ცნობით, საქმე ცხელ კვალზე გახსნეს. სამი პირი, რომლებმაც კახა მახარაძეს ჩასაფრება მოუწყვეს, დაკავებულია. ბრალდებულებს ადგილზე ხელკეტები ჰქონდათ მიტანილი.

აღსანიშნავია ასევე, რომ პირი, რომელიც უშუალოდ კახა მახარაძის მკვლელობაშია ბრალდებული, მოკლულის სისხლით ნათესავია.

რა გახდა ნათესავებს შორის დაპირისპირების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

კახა მახარაძეს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

1995 წელს დაბადებული კ.მ. დაკავებულია ძალადობის ორგანიზების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, ხოლო 1996 წელს დაბადებული გ.მ. და 2004 წელს დაბადებული შ.ჭ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის არიან დაკავებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს – კ.მ.-ს ნათესავთან – 1993 წელს დაბადებულ კ.მ.-სთან უთანხმოება ჰქონდა. მიმდინარე წლის 17 ივნისს, ბრალდებული კ.მ. აღნიშნული ნათესავისთვის ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, მეგობრებს – გ.მ.-ს, შ.ჭ.-ს და დ.მ-ს შეხვდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მან თანამზრახველებს გადასცა ხელკეტი, პირბადეები, ქურთუკები და ერთ-ერთი ბრალდებულის კუთვნილი ავტომობილით მივიდნენ კ.მ.-ის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ დ.მ.-მ 1993 წელს დაბადებულ კ.მ.-ს ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში მიაყენა ჭრილობა, რის შემდეგაც დაჭრილმა კ.მ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დ.მ. დაჭრა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, კ.მ. საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა. რაც შეეხება მკვლელობაში მხილებულ დ.მ.-ს, იგი ამ დრომდე საავადმყოფოში იმყოფება, სადაც სამართალდამცველთა მეთვალყურეობით განაგრძობს მკურნალობას.

დანაშაულში ბრალდებული სამივე პირი სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – დანა, ხელკეტი და ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. განზრახ მკვლელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 225-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს. დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურამ თბილისში, გლდანის ხევის დასახლებაში მომხდარი მკვლელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, მასში მონაწილეობის, დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობისთვის სამ პირს ბრალდება წარუდგინა, ხოლო ერთი პირის მიმართ გამოტანილია ბრალდების შესახებ დადგენილება.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ კ.მ.-მ, რომელსაც უთანხმოება ჰქონდა ნათესავთან, მისი დასჯის მიზნით ორგანიზება გაუწია ჯგუფურ ძალადობას. 17 ივნისს, კ.მ.-მ მის მეგობრებს, დ.მ.-ს და შ.ჭ.-ს აჩვენა ნათესავის ფოტო, გადასცა ხელკეტი, პირბადეები, ე.წ „კაპიშონიანი“ მოსაცმელები, რის შემდეგაც გლდანის ხევის დასახლებაში მდებარე მისი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გ.მ.-ს კუთვნილი ავტომანქანით მივიდნენ, საიდანაც დ.მ. და შ.ჭ. გადავიდნენ, ხოლო კ.მ. და გ.მ. ავტომანქანაში დაელოდნენ. დ.მ. ტელეფონით დაუკავშირდა დაზარალებულს და მოტყუებით ჩაიყვანა კორპუსის მიმდებარედ, სადაც მან და შ.ჭ.-მ მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელეს.

ძალადობის დროს დ.მ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით, დაზარალებულს, დანით ჭრილობები მიაყენა, რის შემდეგაც დაჭრილმა ამ უკანასკნელს ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენა ჭრილობა. მიყენებული ჭრილობების შედეგად კ.მ.-ს ნათესავი გარდაიცვალა, ხოლო დ.მ.-ს ჩაუტარდა ოპერაცია და რეანიმაციულ განყოფილებაში პოლიციის თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ კ.მ.-მ, გ.მ.-მ და შ.ჭ.-მ, ნამდვილად იცოდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა მომხდარი ფაქტი სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს. კ.მ.-მ, დ.მ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, სანაგვე ურნაში გადააგდო დანაშაულის საგანი – დანა და ბრალდებულის მამხილებელი სხვა მტკიცებულებები.

სამართალდამცველებმა კ.მ., შ.ჭ. და გ.მ. 18 ივნისს დააკავეს. დ.მ.-ს მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა), რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მას ბრალდება 20 ივნისს წარედგინება.

კ.მ.-ს ბრალდება 225-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება), 375-ე მუხლის მე-3 ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა) და 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შ.ჭ.-ს ბრალდება 225-ე მუხლის მეორე ნაწილი (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) და 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო გ.მ.-ს ბრალდება 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

გორში დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულებს 20 და 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, გორში დიდი ბრიტანეთის მოქალაქის, ტომას კენედის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულებს 20 და 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

პროკურატურის ინფორმაციით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ასევე ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის ბრალდებულებს 21 და 20-20 წლით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულს, მისთვის სასჯელის დანიშვნის სხდომა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, განაჩენის გამოტანიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში გაიმართება.

„გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბრიტანეთის მოქალაქის ჯგუფურად, ანგარებით და განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობისთვის, ასევე ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის ბრალდებულებს 20 და 21 წლით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის 7 ოქტომბერს, გორში, ოთხი პირი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, თავს დაესხა დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს, ძალადობით დაეუფლნენ მის მობილურ ტელეფონს, საბანკო პლასტიკურ ბარათს და ფულად თანხას.

აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულებმა დანაშაულის დაფარვის მიზნით, დაზარალებულს მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს, შემდეგ კი მდინარე მტკვარში დაახრჩვეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ ბრალდებულებმა მომხდარის შესახებ უთხრეს მეგობარს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შესახებ, სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

სამართალდამცავებმა ხუთივე ბრალდებული 10 ოქტომბერს დააკავეს. ოთხს ბრალდება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ყაჩაღობის მუხლებით წარედგინათ. ხოლო ერთ პირს განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულების შეუტყობინებლობისთვის წარედგინა ბრალდება.

გორის რაიონულმა სასამართლომ, ხუთივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ასევე ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის ბრალდებულებს 21 და 20-20 წლით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულს, მისთვის სასჯელის დანიშვნის სხდომა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, განაჩენის გამოტანიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში გაიმართება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

რუსთავში 3 პირის დაჭრისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული ლ.ვ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, ურთიერთშელაპარაკებისას, სამი პირი – 1992 წელს დაბადებული გ.ა., 1988 წელს დაბადებული ლ.შ. და 1994 წელს დაბადებული ლ.ხ. დანის გამოყენებით დაჭრა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი სამი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

სამართალდამცველებმა ლ.ვ. ცხელ კვალზე დააკავეს. სამი პირის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– პაციენტი შემოყვანილია საღამოს, 34 წლის მამაკაცი, რომელსაც აღენიშნებოდა ნაკვეთ– ნაჩხვლეტი ჭრილობები მარჯვენა ბარძაყის, მარცხენა თეძოს ფრთის და კისრის არეში. მდგომარეობა იყო მძიმე, წნევა არ ესინჯებოდა, შეყვანილი იყო პირდაპირ საოპერაციო ბლოკში, აღმოჩნდა ბარძაყის არტერიის და ვენის დაზიანება, მარჯვენა ქვემო კიდურზე გაკეთდა რეკონსტრუქციული ოპერაცია, აღდგენილი იქნა ბარძაყის არტერია და ვენა. პაციენტის მდგომარეობა დილისთვის არის სტაბილური, – აცხადებს ექიმი.

გორში ტაძრიდან ფული მოიპარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ვ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორში წმინდა მამა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი გაქურდა, შესაწირის 2 ყუთიდან ფული მოიპარა, ასევე, სანთლის გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას უკანონოდ დაეუფლა. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ბათუმში ტაბიძეზე მანქანა 2 ბავშვს დაეჯახა, 1 დაიღუპა

ბათუმში, ტაბიძის ქუჩაზე ორ არასრულწლოვანს ავტომანქანა დაეჯახა – არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი ბავშვი 7 წლისაა მეორე კი მასზე პატარა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა. ამ დროისთვის უცნობია მეორე ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „მთავარი არხის“ ვებგვერდს განუცხადეს, რომ გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

ფოტო და ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა.

წნორში, არხში 9 წლის ბავშვის ცხედარი იპოვეს

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, წნორში, სანიაღვრე არხში, 9 წლის ბავშვის ცხედარი იპოვეს.

შემთხვევა 17 ივნისს, საღამოს მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, 9 წლის ბიჭი საცხოვრებელ სახლთან მდებარე სუპერმარკეტში მიდიოდა, რის შემდეგაც გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ ბავშვის კვალს სანიაღვრე არხში მიაკვლიეს, რომელიც დასახლებულ უბანში მდებარეობს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქუთაისში 1 პირის მკვლელობისთვის გ.მ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1985 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 16 ივნისს, ქუთაისში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, წარსული არსებული კონფლიქტის ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს – 1979 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გ.მ. ბრალდებულის სახით ქუთაისში დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბორელი: „მილიონობით ტონა მარცვლეული უკრაინაში ბლოკირებული რჩება“

მილიონობით ტონა მარცვლეული უკრაინაში ბლოკირებული რჩება. ეს არის ნამდვილი ომის დანაშაული.

ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრამდე, ჟურნალისტებს განუცხადა.

ბორელმა აღნიშნა, რომ იგი რუსეთს უკრაინული პორტების დებლოკირებისკენ მოუწოდებს.

– ჩვენ რუსეთს პორტების დებლოკირებისკენ მოვუწოდებთ. წარმოუდგენელია, ვერ წარმოიდგენთ, რომ მილიონობით ტონა მარცვლეული უკრაინაში ბლოკირებული რჩება, როდესაც დანარჩენ მსოფლიოში ხალხი შიმშილობს. ეს არის ნამდვილი ომის დანაშაული, ამიტომ არ წარმომიდგენია, რომ ეს დიდხანს გაგრძელდება, – განაცხადა ბორელმა.

რუსეთი ჩინეთისთვის ნავთობის უდიდესი მიმწოდებელი გახდა

რუსეთი ჩინეთისთვის ნავთობის უმსხვილესი მიმწოდებელი გახდა, რადგან ქვეყანამ, უკრაინის ომის გამო დაწესებული სანქციების ფონზე, პეკინს ნედლი ნავთობი ფასდაკლებით მიჰყიდა.

ინფორმაციას ბიბისი ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, მაისში ჩინეთში რუსული ნავთობის იმპორტი, წინა წელთან შედარებით, 55%-ით გაიზარდა და რუსეთმა, როგორც ჩინეთის უმსხვილესმა მიმწოდებელმა, საუდის არაბეთი ჩაანაცვლა.

ჩინურმა კომპანიებმა, მათ შორის სახელმწიფო კომპანიებმა სინოპეკმა და ჟენჰუა ოილმა ბოლო თვეების განმავლობაში რუსული ნედლი ნავთობის შესყიდვები გაზარდეს მას შემდეგ, რაც მათ დიდი ფასდაკლებები შესთავაზეს.

ჩინეთის ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში რუსული ნედლი ნავთობის იმპორტმა გასულ თვეში თითქმის 8.42 მილიონი ტონა შეადგინა და ამ მაჩვენებლით რუსეთმა გაუსწრო საუდის არაბეთს, საიდანაც ჩინეთმა, ანალოგიურ პერიოდში, 7.82 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი მიიღო.

ცნობისათვის, რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მარტში განაცხადეს, რომ რუსულ ნავთობს აკრძალავდნენ, ევროკავშირი კი რუსულ გაზზე დამოკიდებულების შეწყვეტაზე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ენერგორესურსების ექსპორტი რუსეთისთვის შემოსავლის სასიცოცხლო წყაროა.

ინდოეთსა და ბანგლადეშში წყალდიდობას 59 ადამიანი ემსხვერპლა

ინდოეთსა და ბანგლადეშში სულ მცირე, 59 ადამიანი წყალდიდობისა და მეწყრის შედეგად გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია მედიაში ვრცელდება.

მედიის ცნობით, მილიონობით ადამიანი სახლში ჩარჩენილია, ხოლო სასწრაფო დახმარების მუშაკები ამ დრომდე მათთან მიღწევას ცდილობენ. სინოპტიკოსები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ წყალდიდობა რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ამასთან, ინდოეთსა და ბანგლადეშში სკოლები თავშესაფრებად გადაკეთდა, ხოლო გარესამყაროს მოწყვეტილი ოჯახების ევაკუაციის პროცესში ჯარი ჩაერთო.

ოკუპანტებმა ლისიჩანსკის გარშემო სამი ავიაიერიში განახორციელეს

რუსმა ოკუპანტებმა ლუგანსკის ოლქის ქალაქ ლისიჩანსკის გარშემო სამი ავიადარტყმა განახორციელეს.

ამის შესახებ ლუგანსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სერჰი გაიდაი „ტელეგრამში“ იუწყება.

მისივე თქმით, სევეროდონეცკში ბრძოლა გრძელდება.

– 19 ივნისს გორსკოეში რუსებმა 19 სახლი დააზიანეს, ვრუბოვკაში კი – 7, – აცხადებს გაიდაი.

მისი თქმით, მტერმა ავიაიერიში მიიტანა მირნაია დოლინასა და ბელაია გორას რაიონებზე, ასევე ერთ-ერთ უკვე დანგრეულ ხიდზე, რომელიც ლისიჩანსკს სევეროდონეცკთან აკავშირებდა.

– სევეროდონეცკში მინაბოჭკოვანი ქარხნის ტერიტორია და სამაშველო პოლიგონი მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ მოხვდა, – აცხადებს გაიდაი.

მისი თქმით, ლისიჩანსკისა და რიგი სხვა დასახლებების წინააღმდეგ ოკუპანტებმა სარაკეტო და საარტილერიო ცეცხლი გახსნეს.

კოლუმბიის საპრეზიდენტო არჩევნებში გუსტავო პეტრომ გაიმარჯვა

კოლუმბიის დედაქალაქის, ბოგოტას ყოფილი მერი, მემარცხენე გუსტავო პეტრო კოლუმბიის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა.

მედიის ინფორმაციით, არჩევნების მეორე ტურში პეტრომ მემარჯვენე როდოლფო ერნანდესი დაამარცხა.

მონაცემების თანახმად, გუსტავო პეტრომ ხმების 50.5% მიიღო და კოლუმბიის პირველი მემარცხენე ლიდერი გახდა.

ამასთან, კოლუმბიის ვიცე-პრეზიდენტი ფრანსია მარკესი გახდება, რომელიც ქვეყნის პირველი ფერადკანიანი ქალი ვიცე-პრეზიდენტი იქნება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

მასწავლებელს მოზარდებთან შიშველი ფოტოსესია სამსახურის დაკარგვად დაუჯდა

დიდი ბრიტანეთის ნორთჰემპტონის საგრაფოში გამომსახველობითი ხელოვნების 41 წლის მასწავლებელმა ქალმა სამსახური მას შემდეგ დაკარგა, როდესაც ექსტრავაგანტური, ნაწილობრივ შიშველი ფოტოსესია მოაწყო მისი კლასის მოსწავლეების მონაწილეობით.

რაიტმა 15 წლის ორივე სქესის მოსწავლეებს უფლება მისცა ფოტოსურათები მხოლოდ საცვლების ამარა, სიგარეტით და ალკოჰოლური სასმელების ბოთლებით ხელში გადაეღოთ. მისი თქმით, გადაღება ერთ-ერთი მხატვრის ნამუშევრის მიერ იყო შთაგონებული, რომელსაც გაკვეთილი ეძღვნებოდა. ამის მიუხედავად, მას არ მოუთხოვია, რომ მოზარდებს მსგავსი სურათები შეექმნათ.

ფოტოსესიის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ფოტოსურათები სკოლის ხელოვნებისა და დიზაინის განყოფილების ხელმძღვანელმა აღმოაჩინა. მან ამის შესახებ განათლების სფეროს რეგულირების სააგენტოს აცნობა.

აღნიშნული ორგანიზაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მასწავლებელმა სწავლების პროფესიული სტანდარტების დარღვევა დაუშვა და აღნიშნა, რომ მან ვერ შეიგნო მოზარდებისთვის მსგავსი აქციების მოსალოდნელი შედეგების სერიოზულობა. გადაწყდა, რაიტი გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან. დისციპლინარული კომისიის სხდომაზე ქალმა დაშვებული შეცდომა აღიარა. ის სკოლაში 2004 წლიდან მუშაობდა და აქამდე რაიმე მსგავს ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

უმცროსი ბორჯღალოსნები ექვსი ერისთვის დაირაზმნენ

საქართველოს 20 წლამდე ნაკრები ექვსი ერის ზაფხულის სერიებზე იტალიაში გაემგზავრნენ.

ექვსი ერის 20-წლამდელთა ზაფხულის სერიაზე რვა გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული: ა ჯგუფში ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი და ირლანდია მოხვდნენ; ბ ჯგუფში შოტლანდია, უელსი, საქართველო და მასპინძელი იტალია ითამაშებენ. ჯგუფური ეტაპის შემდეგ, გუნდები დაკავებული ადგილების მიხედვით ფლეი ოფის შეხვედრებს გამართავენ და საბოლოო ადგილებს გაითამაშებენ.

უმცროსი ბორჯღალოსნები ჯგუფური ეტაპის თამაშებს ტრევიზოში გამართავენ. 25 ივნისს მათი მეტოქე იტალია იქნება, 30-ში უელსს შევხვდებით, 6 ივლისს კი შოტლანდიას. ფლეი ოფები 12 ივლისსაა ჩანიშნული.

გუნდის მზადების და მომავალი შეხვედრების შესახებ მთავარმა მწვრთნელმა ლადო კილასონიამ ისაუბრა:

– საკმაოდ დამღლელი და ნაყოფიერი 5-კვირიანი შეკრება გვქონდა. სამწუხაროდ, ლეგიონერთა ნაწილი გვიან, ნაწილი კი, ძალიან გვიან შემოგვიერთდა, რადგან მათი გუნდები საფრანგეთის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე თამაშობდნენ. გვქონდა ორი საკონტროლო შეხვედრა 18-წლამდელთა ნაკრებთან, რომელიც სელექციასთან ერთად, ტაქტიკური მონახაზის დახვეწასაც ემსახურებოდა. იტალიაში 4 საინტერესო თამაში გველის. ეს ტურნირი დაგვანახებს, თუ სად წავიდა ევროპული და სამხრეთაფრიკული რაგბი პოსტ-პანდემიურ პერიოდში და სად ვართ ჩვენ. ამ ბიჭების დიდმა ნაწილმა შარშან სამხრეთ აფრიკის ტურნირზე ითამაშა, სადაც ერთი წლით უფროსებს ვეთამაშეთ და ახლა გამოჩნდება, როგორია ჩვენი განვითარების ტემპი.

მარტყოფში გატარებული 5-კვირიანი შეკრების შემდეგ, მწვრთნელებმა 31 მორაგბე შეარჩიეს.

შერკინება: სერგი აბრამიშვილი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), დავით გველესიანი (პროვანსი, საფრანგეთი), გიორგი მამაიაშვილი, ნიკოლოზ ბაბუნაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბადრი ციხისთავი, ლაშა ციხისთავი, ბექა გელხვიძე (ყველა ლელო), ნიკა სუთიძე, ალექსანდრე ქუნთელია (ორივე ლა როშელი, საფრანგეთი); ალექსანდრე ბურდული (ნარბონი, საფრანგეთი), გიგი ქურხული (ვეფხვები), გიორგი კერვალიშვილი (ლოკომოტივი), პაატა გალდავა (აია); რატი ზაზაძე (არმაზი), თორნიკე ბაიხოიძე (ხვამლი), ბექა შვანგირაძე (ორიაკი, საფრანგეთი);

უკანა ხაზი: კოტე იაშვილი (აკადემია), მატის მოდებაძე (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ხუროშვილი, პეტრე ხუციშვილი, დავით იმნაძე, გიორგი ჩიქოვანი, იოანე მეტრეველი, თორნიკე კახოიძე, საბა ლიპარტელიანი, შალვა აფციაური, გაგა ქევხიშვილი (ყველა ლელო), ლუკა სახელაშვილი (ლოკომოტივი), ვიტალი ირემაძე (ბათუმი), გიორგი ნავროზაშვილი (არმაზი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

90 წლის ქალი დათვს სკამით გაუმკლავდა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ სევიერვილის მცხოვრებმა ხანდაზმულმა ქალბატონმა მისი სახლის ეზოში შეჭრილი დათვი ბაღის სკამის გამოყენებით გააგდო.

ალტა უილიამსის თქმით, ის საკუთარი სახლის შესასვლელთან იჯდა, როდესაც მოულოდნელად ეზოში ძუ დათვი გამოჩნდა სამი ბელის თანხლებით.

– ჩვენთან წლიდან წლამდე სულ უფრო ხშირად შეხვდებით დათვებს, – შენიშნა 90 წლის ქალბატონმა.

როდესაც მტაცებელი მოხუც ქალბატონს მიუახლოვდა, მან ბაღის სკამს ხელი დასტაცა, მის ქნევას და ყვირილს მოჰყვა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად ეხმაურა. დათვმა ერთი შეტევა განახორციელა ქალისკენ და ხელი გაუკაწრა, თუმცა მაშინვე გატრიალდა და გაიქცა, ბელებიც დედას უკან მიჰყვნენ.

შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა ქალს მსუბუქი დაზიანებები დაუფიქსირეს, რაც მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა.

ქალმა მოზარდი სექს-სათამაშოდ აქცია და ციხეში ამოჰყო თავი

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ცხრა წელს და ექვს თვეს ციხეში გაატარებს 15 წლის მოზარდზე სქესობრივი ძალადობისთვის. უფრო მეტიც, 40 წლის ქალს მოზარდისგან შვილიც ეყოლა.

გამოძიების ინფორმაციით, 2016 წელს მერსისაიდის საგრაფოს ქალაქ ლივერპულის მცხოვრებმა სარა კემპბელმა მოზარდი შეაცდინა. ისინი მის სახლში, გოლფის მოედანზე რეგულარულად იყვნენ დაკავებულები სექსით. ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ ქალი მოზარდს აკრძალულ ნივთიერებებს აძლევდა იმ მიზნით, რომ ის თავის სექს-სათამაშოდ ექცია.

გარკვეული დროის შემდეგ კემპბელი დაფეხმძიმდა. გამოძიების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ბავშვის მამა მოზარდი იყო. არასრულწლოვანის შეცდენის და მისთვის აკრძალული ნივთიერებების მიცემისთვის ქალს სასამართლომ ცხრა წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ნიანგმა მისთვის ქვების მსროლელ მამაკაცზე შური იძია

მექსიკის ქალაქ ვილიაერმოსაში ნიანგი თავს დაესხა ნასვამ მამაკაცს, რომელიც მას ქვებს ესროდა და მისი წყალში ჩათრევა სცადა.

მამაკაცის უგუნური საქციელი ვიდეოზე იქნა გადაღებული. კადრებში ჩანს, რომ პროვოკაციის საპასუხოდ, რეპტილია წყლიდან ამოდის და მამაკაცს პირს ფეხში სტაცებს. ნიანგი შეეცადა შური ეძია და მამაკაცი წყალში ჩაეთრია, მაგრამ მან მისგან თავის დაღწევა მოახერხა. უცნობია, თუ რა სახის დაზიანებები მიიღო მექსიკელმა აღნიშნული ინციდენტის შედეგად. თუმცა მან აღნიშნული ადგილი სხვის დაუხმარებლად დატოვა.

სამოქალაქო თავდაცვის მუნიციპალური სამსახურის დირექტორმა ხოსე არტურო გომეს ალონსომ განმარტა, რომ რეპტილიის აგრესია შესაძლოა გამოწვეული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ნასვამი მამაკაცი მას ქვებს ესროდა, არამედ საკუთარი ბუდის დაცვითაც, სადაც მას კვერცხები ჰქონდა დადებული. მან იქვე დაამატა, რომ მამაკაცს მდედრი რეპტილია დაესხა თავს.

შვილიშვილებისთვის ფუნთუშების ყიდვამ ყოფილ მეხანძრეს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრ ჯეფრი ჩანდლერს სპონტანურად მოუწია შვილიშვილებისთვის ფუნთუშების საყიდლად წასვლა და ლატარიაში მსხვილი მოგების მფლობელი გახდა.

ყოფილმა მეხანძრემ პატარა მაღაზიაში შეიარა, რათა შვილიშვილებისთვის ტკბილეული შეეძინა და იქვე გადაწყვიტა, ბედი ეცადა და 40 დოლარის ლატარიის ბილეთებიც იყიდა. მან გადაწყვიტა, იქვე შეემოწმებინა ბილეთები და აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 97 ათასი დოლარი შეადგინა.

ჩანდლერმა აღიარა, რომ კინაღამ თვალთ დაუბნელდა, როდესაც ნახა, თუ რა თანხა მოიგო მისმა ბილეთმა.

– გზის მეორე მხარეს გადავირბინე, ჩემი მეგობარი ქალის სახლში მივედი და ვთხოვე, მასაც დაედასტურებინა, რომ ეს ყოველივე რეალობა იყო. როდესაც მისი სახლის კარს მივადექი, ძლივს ვითქვამდი სულს. მან კი ჩემ დანახვაზე იფიქრა, რომ გულის შეტევა მქონდა, – გაიხსენა ყოფილმა მეხანძრემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

შენგელია იტალიის ვიცე-ჩემპიონია და გუნდს მადლობას უხდის

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და ბოლონიის ვირტუსის კალათბურთელი თორნიკე შენგელია იტალიის ლიგის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ფინალური სერიის მე-6 მატჩი ვირტუსმა სტუმრად მილანთან გამართა და 64:81 და სერიაში 2:4 დამარცხდა.

თორნიკე შენგელიამ პარკეტზე 20 წუთი გაატარა, რა დროშიც 8 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. თორნიკემ 3-დან 1 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო. ვირტუსიდან ყველაზე მეტი ქულა ამარ ალიბეგოვიჩმა ჩააგდო, მან 11 ქულა მიითვალა, ნიკოლო მანნონის ორმაგი დუბლი ჰქონდა – 10 ქულა და 12 მოხსნა.

სეზონის დასრულების შემდეგ თორნიკე შენგელიამ სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ვირტუსის პერსონალს და გულშემატკივრებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

თორნიკე შენგელია:

– დიდი მადლობა ჩემს ყველა თანაგუნდელს, მწვრთნელებს, პერსონას და მთელ ვირტუს ბოლონიას. ძალიან მადლობელი ვარ ამ საოცარი შესაძლებლობისთვის, ყველა დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც თქვენგან მივიღე! მადლობა ყველა გულშემატკივარს თბილი და პოზიტიური მესიჯებისთვის და თქვენი უპირობო მხარდაჭერისთვის. მადლობა იმისთვის, რომ თავი ისე მაგრძნობინეთ, როგორც საკუთარ სახლში! მიხაროდა ყოველი დღე, რომლითაც ამ ისტორიული გუნდის ნაწილი ვიყავი!

იტალიური მედიის ნაწილმა თოკოს ეს წერილი გამოსამშვიდობებლად ჩათვალა. თუმცა, ბოლო დღეების განმავლობაში, არაერთმა სააგენტომ დაწერა, რომ ქართველმა კალათბურთელმა და ბოლონიურმა კლუბმა ახალ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის მიხედვითაც, მხარეებს შორის კონტრაქტი 2 წლით გახანგრძლივდება. პარალელურად, შენგელიას ბედს ესპანურ გუნდებს უკავშირებენ – ვალენსიას, ბარსელონას... დაიწერა ისიც, რომ თავად კალათბურთელს კარიერის გაგრძელება ნბა-ში სურს.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის კალათბურთელი ვირტუსს მიმდინარე წლის მარტში შეუერთდა და კლუბთან ერთად ევროთასის გამარჯვებული გახდა. ბოლონიაში გადასვლამდე შენგელია მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ რუსული კლუბი უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შემდეგ დატოვა.

ტენ ჰააგი მანჩესტერში ნიდერლანდელებს აგროვებს

მანჩესტერ იუნაიტედის ახალი თავკაცი, ერიკ ტენ ჰააგი გუნდში ძირეულ ცვლილებებს გეგმავს. იტალიელი ჟურნალისტი ნიკოლო სკირი უკვე ღიად წერს, რომ ბარსელონას ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა მანჩესტერულ კლუბთან კონტრაქტი 2027 წლამდე გააფორმა.

ესპანური და ინგლისური გრანდები მხოლოდ კომპენსაციის ოდენობაზე შეთანხმდებიან. კატალონიურ კლუბს სურს მიიღოს 80 მილიონი ევრო – თითქმის იგივე თანხა, რაც კატალონიელებმა ამსტერდამის აიაქსს თავის დროზე ნახევარმცველის სანაცვლოდ დაურიცხეს.

დე იონგის შეძენა მანჩესტერ იუნაიტედის ახალი მწვრთნელისთვის ერიკ ტენ ჰააგისთვის მთავარი პრიორიტეტია.

როგორც ჩანს, ნიდერლანდელი სპეციალისტის პირველი ტრანსფერი ინგლისურ გრანდში სწორედ ნიდერლანდელი ფეხბურთელი იქნება. თუმცა, არა მხოლოდ ერთადერთი თანამემამულე...

იუნაიტედის თავკაცი გუნდში ახალი მარჯვენა მცველის მოყვანასაც შეეცდება. საქმე ეხება იტალიური ინტერის განაპირა მარჯვენა მცველს დენზელ დიუმფრისს. გასულ სეზონში მოთამაშის ასპარეზობა ნამდვილად რომ თვალშისაცემი იყო.

როგორც ჩანს, აარონ ვან ბისაკას მომავალი ამ დრომდე ბუნდოვანია, დარჩება თუ დატოვებს „ოლდ ტრაფორდელთა“ რიგებს ინგლისელი, ცნობილი სულ მალე გახდება.

დიუმფრისის პირად აქტივს რაც შეეხება, ნიდერლანდელმა გასულ სეზონში მილანელთა შემადგენლობაში 45 მატჩი ჩაატარა, 5 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასიც ჩაიწერა.

მანჩესტერს კრისტიან ერიკსენიც სურს. დანიელი ამჟამად თავისუფალი აგენტია და მისი გადაბირებით მანჩესტერელთა გარდა ტოტენჰემიც არის დაინტერესებული. თუმცა, გავრცელებული ხმებით, თავად ერიკსენს ლონდონში დარჩენა სურს და ფავორიტი უფრო ტოტენჰემია.

შეგახსენებთ, სიკვდილს გადარჩენილი დანიელი პრემიერ ლიგაში იანვრის თვეში დაბრუნდა და ბრენტფორდში ითამაშა. ფეხბურთელმა თომას ფრანკის გუნდში პროდუქტიული 6-თვიანი პერიოდი გაატარა, ახლა კი, გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით ტოვებს.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ნანა წულაია: მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

ვახო წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

რეზო ნარმანია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

თამრიკო მხეიძე: 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

თბილისის დინამოს მორიგი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილია

დინამო თბილისს ახალი მთავარი მწვრთნელი ყავს. კახა ცხადაძის გათავისუფლების შემდეგ დედაქალაქურ კლუბს გიორგი ჭიაბრიშვილი გაწვრთნის. მხარეებს შორის კონტრაქტი 2,5 წლით ვადით გაფორმდა. მასთან ერთად გუნდში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად გიორგი დეკანოსიძე იმუშავებს.

„როდესაც დინამოში მოდიხარ, პირველი დღე ემოციებით ძალიან დატვირთულია. ბედნიერი ვარ, კარგი გარემო დამხვდა, კარგი ადამიანები, სტაფი, მოსახურე პერსონალი ხელმძღვანელობასთან ერთად. აქ მუშაობა ბედნიერება და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაა. ეს მე გათვითცნობიერებული მაქვს. ესაა სამუშაო, რომელიც რთული და სასიამოვნოა. დანარჩენს უკვე ყოველდღიურად ვნახავთ, როგორ იქნება. მთავარია, დინამომ თავისი ტრადიციული, ლამაზი, ლაღი თამაში აჩვენოს და ვეცდებით, ამას მალე მივაღწიოთ.

როდესაც დინამოში ხარ, მიზანი ერთია – უნდა გახვიდე და ეცადო გაიმარჯვო და გაიმარჯვო“, – განაცხადა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა.

ჭიაბრიშვილის ბოლო კლუბი თბილისის ლოკომოტივი იყო, სადაც 2020-21 წლებში მუშაობდა და კლუბთან ერთად ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზა. ლოკომოტივის გარდა, ქართველი სპეციალისტი სხვადასხვა დროს თბილისის საბურთალოსა და ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

რაც შეეხება ტიტულებს: ჭიაბრიშვილი ზესტაფონთან და საბურთალოსთან ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2019 წელს საბურთალოელებთან ერთად საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი მოიგო. 2018 და 2020 წლის სეზონში ჭიაბრიშვილი საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს იწყებს

საქართველოს ვაუ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. წყალბურთელთა მუნდიალი დღეს უნგრეთში დაიწყება და 3 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ქართველი წყალბურთელები ტურნირზე რუსეთის ნაკრების მოკვეთის შემდეგ გავიდნენ, როგორც უახლოესი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდი.

მსოფლიოს ჩემპიონატში 16 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს, რომლებიც 4 ჯგუფად იქნებიან გაყოფილნი. საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში ითამაშებს, სადაც მეტოქეებად მასპინძელი უნგრეთის, ბრაზილიისა და ჩერნოგორიის ნაკრებები ეყოლება.

ფორმატის თანახმად, ჯგუფების გამარჯვებულები მეოთხედფინალში პირდაპირ გავლენ, 2-3 ადგილოსნები კი, კიდევ 4 საუკეთესოს ვინაობას ფლეი ოფში გაარკვევენ. პირველი მატჩი 21 ივნისს ბრაზილიასთან გვაქვს, 23-ში ჩერნოგორიას ვეთამაშებით, ხოლო ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში, 25 ივნისს – უნგრეთს. საქართველოს ნაკრები ამ ტურნირისთვის სერბეთში ემზადებოდა და უკვე უნგრეთის დედაქალაქში იმყოფება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ირაკლი რაზმაძე, ნიკოლოზ შუბლაძე;

მოთამაშეები: სანდრო ადეიშვილი, ვალიკო დადვანი, ნიკა შუშიაშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, ხვიჩა ჯახაია, ივან სარიჩი, რევაზ იმნაიშვილი, ბორის ვაპენსკი, ფაბიო ბარალდი, დუშან ვასიჩი.

შავი ლომი ქარის თასის ნახევარფინალში დამარცხდა

ქარის თასის ნახევარფინალში ქართული შავი ლომისა და სამხრეთაფრიკული გრიფონსის შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, 31:31 დასრულდა, დამატებით დროში კი, მასპინძლებმა 41:38 იმარჯვეს და ფინალის საგზური მოიპოვეს.

გრიფონსი ქარის თასის საუკეთესო გუნდი იყო – რეგულარული ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და შავ ლომსაც სწრაფი და საინტერესო თამაში შესთავაზა. სამწუხაროა, რომ მასთან თამაში რეგულარულ გათამაშებაშიც არ მოგვიწია.

მატჩის საწყისი წუთები მეტოქის იყო. თამაში ორივე გუნდმა მაღალ ტემპში, ხელდახელ ბურთაობით დაიწყო და ჩვენი ნახევრიდან ხელდახელ 2-ჯერ შევუტიეთ, მნიშვნელოვანი მანძილიც მოვიგეთ, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო ქულების აღება ვერ მოვახერხეთ. საწყის 20 წუთში დაცვაში რამდენიმე ბოჭვა გაფუჭდა, რასაც 2-ჯერ მოყვა ხაზის გაჭრა და 2 ლელო მივიღეთ. ამის შემდეგ სტუმრები სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ პირველ ტაიმში, 10 საკუთარი დერეფნიდან 6 დავთმეთ და მხოლოდ 2 ლელოს გატანა მოვახერხეთ.

ტაიმის შუაში 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებულ მოლს სანდრო მამამთავრიშვილის ლელო მოყვა. 27-ე წუთზე მოლის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიდა და სანდრო თოდუას გარღვევის შემდეგ ლელოც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ზედ ლელოს ხაზთან, ოფლოუდის შემდეგ წინ პასი დაფიქსირდა. 36-ე წუთზე შავმა ლომმა ძალიან ლამაზი ლელო გაიტანა. ცენტრში აგრესიული დაცვით ბურთის მოპოვების შემდეგ ხაზი ჯერ ლუკა მატკავამ გაჭრა, რომელიც შებოჭეს, მაგრამ ბურთი მარცხენა ფრთაზე სწრაფად ჩათამაშდა, სადაც დემე თაფლაძე 2 მბოჭავს გაექცა და ოფლოუდით ლელოში თოდუა შეუშვა. მატკავამ რთული პოზიციიდან 2-ვე გარდასახა, მაგრამ მეტოქემ ლელოებს შორის 1 ჯარიმა გაიტანა და შესვენებაზე გრიფონსი ერთქულიანი უპირატესობით გავიდა – 15:14.

მე-2 ტაიმის დასაწყისში შალვა მამუკაშვილმა და ლუკა ივანიშვილმა დერეფნიდან მეტოქისთვის მოულოდნელი კომბინაცია გაითამაშეს, ლუკამ თავად შეუტია და ლელოთი სტუმრები დააწინაურა, მატკავამ კი გარდასახა. აღსანიშნავია, რომ მატკავამ არაერთი გასატანი პოზიციიდან ჯარიმა კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყა და ეს 62-ე წუთზე მოხდა, როდესაც გრიფონსმა 2 ჯარიმით წონასწორობა აღადგინა და ანგარიში 21:21 იყო.

სამხრეთ აფრიკელებმა ჯარიმით სწრაფადვე გვიპასუხეს და მალე ლელო-გარდასახვით დაწინაურდნენ. დასკვნით წუთებში შავი ლომი თავგამოდებით უტევდა და 77-ე წუთზე დამსახურებული ლელო გაიტანა. მოლის შემდეგ თენგიზ ზამთარაძეს მამამთავრიშვილი წამოეშველა და დუბლი შეასრულა, თამაში დამატებით დროში კი, მატკავამ გადაიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები უპირატესობას ფლობდნენ, მასპინძლებმა ჯარიმით და შეუჩერებელი გარემარბის წყალობით 10-ქულიანი ჰანდიკაპის მოპოვება შეძლეს. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მოლი სანდრო ქოიავას ლელოთი დასრულდა და მატკავამ სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე მარტივ სიტუაციაში ბურთი დავკარგეთ და გრიფონსმა, რომლისთვისაც ეს მატჩი ქარის თასის უმაღლეს დივიზიონში ასასვლელად უმნიშვნელოვანესი იყო, 41:38 გაიმარჯვა.

რა შედეგითაც არ უნდა დასრულებულიყო ეს თამაში, ბორჯღალოსანთა ნაწილი მის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, რადგან წინ ივლისის ტესტმატჩებია. ახლა, თვენახევრიანი აფრიკული ვოიაჟის შემდეგ, შავი ლომი სამშობლოში სრული შემადგენლობით დაბრუნდება და ბორჯღალოსნები მზადებას სანაკრებო მატჩებისთვის გააგრძელებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სიკო დოლიძის კინოკომედია; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. ღვინის და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. გამოქვაბულში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი; 7. სპარსული ლეგენდების, თქმულებების, მითების კრებული; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. ისტორიული მოედანი პარიზში; 24. თვალის დაავადება, ახლო მხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. წყლით სამკურნალო აბაზანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ორტი; 2. ნუჟრი; 3. იანძი; 4. ჯილდა; 5. ვარანი; 6. თრიალეთი; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. შტირია; 15. ფაზისი; 16. ოჰარა.

თარაზულად: 1. ოწინარი; 4. ჯავახეთი; 7. ლიეჟი; 9. ჭინკა; 12. დიდუბე; 13. გნომა; 14. შურთხი; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. ბეთოსი; 20. ჰაშიში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანანასი; 5. კაბრიოლეტი; 10. პოკერი; 11. მაჰარაჯი; 12. ბაიდენი; 13. აზბესტი; 16. ხორნაბუჯი; 17. სუვენირი; 19. არქაიზმი; 21. პედრი; 23. თლაშო.

თარაზულად: 6. არქიპელაგი; 7. ანაკლია; 8. ბენეტი; 9. ანდამატი; 14. უზუნდარი; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. კურიერი; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ლუციფერი; 26. ლაშარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.9340**

ევრო — **3.0913**

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.5962**

100 რუსული რუბლი — **5.2679**

ამინდის პროგნოზი 21 ივნისისათვის



დემბელე შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს

უსმან დემბელე შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს, რადგან მისი პსჟ-ში ტრანსფერი ჩაშლის პირას არის. ამის მიზეზი კი დემბელეს ხშირი ტრავმებია, რომლის გამოც პარიზულმა გუნდმა შესაძლოა მასზე უარი თქვას.

ამავე მიზეზის გამო უკან დაიხია ჩელსიმაც, ამიტომ დემბელე, სავარაუდოდ, ბარსელონაში დარჩება.

უსმანს გუნდთან კონტრაქტი მომავალ წელს უმთავრდება.

გიორგი ჩაკვეტაძეს თბილისის დინამოში თამაში არ სურს

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი ჩაკვეტაძეს თბილისის დინამოში თამაში არ სურს და შესაძლოა, მან რომელიმე სხვა ბელგიურ კლუბს მიაშუროს. ასევე, არის საუბარი ჰოლანდიურ გუნდზეც, თუმცა გუნდის ვინაობა არ სახელდება.

ჩაკვეტაძე გენტის საკუთრებაა და ის ჰამბურგში იყო განათხოვრებული, თუმცა ჰამბურგმა მისი გამოსყიდვა არ მოინდომა.

მოდრიჩმა მომავალ წელს შესაძლოა კარიერა დაასრულოს



მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა, შესაძლოა, მომავალი სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს.

ამის შესახებ მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, სადაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის რეალიდან წასვლას არ აპირებს:

– არ მინდა, რომ რეალი დავტოვო, რადგან ეს გუნდი ძალიან მიყვარს. მომავალი სეზონი შესაძლოა ჩემთვის ბოლო აღმოჩნდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ეკა კიკნაძე პოლონელებმა დააჯილდოვეს

ხელოვნების მუზეუმის ყოფილი მმართველი ეკა კიკნაძე პოლონელებმა კულტურის სფეროში არსებული ყველაზე მაღალი ჯილდოთი დააჯილდოვეს.

ინფორმაცია გიორგი ფარცხალაძემ გაავრცელა:

– ხელოვნების მუზეუმის ყოფილი მმართველი, ხელოვნებათმცოდნე, ნარკომ წულუკიანის მიერ მუზეუმიდან „განთავისუფლებული“ ეკა კიკნაძე დაჯილდოვდა პოლონეთში კულტურის სფეროში ყველაზე მაღალი ჯილდოთი – ორდენით „გლორია არტის“.

ჯილდო გადმოსცა პოლონეთის სეიმის სპიკერმა, ქალბატონმა მალოგრჟატა გოსიევსკამ.

პ.ს. მუზეუმიდან შემატყობინეს, რომ კოლექციების მართვის დეპარტამენტის უფროსიც დააქვეითეს (ჩამოალაბორანტეს) და მის ადგილზე დანიშნეს... პროკურორი.

ორი საქართველო. ორი სხვადასხვა ქვეყანა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 ივნისისათვის

ვერძი – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. ** კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანცელი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

დაკითხვაზე:

– აგვიხსენით, როგორ გადიოდა თანხები ოფშორულ ზონაში.

– ფულები ხედავდნენ, რაც ხდებოდა ქვეყანაში და თავად გადიოდნენ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ?

– იმიტომ, რომ ცოლი არ ჰყავთ.

●●●

ქალმა პატიმარი ქმრისგან ციხიდან წერილი მიიღო:

– ძვირფასო, მადლობა ნამცხვარში ჩადებული ქლიბისთვის. ახლა აქ ყველაზე მოვლილი ფრჩხილები მე მაქვს!

●●●

გვიან ღამით სახლში დაბრუნებულ მთვრალ ქმარს კარი ცოცხმომარჯვებულმა ცოლმა გაუღო. ქმარი მუხლებზე დაემხო და ევედრება:

– არა, ძვირფასო, მეტს აღარ ვიზამ, არ გაფრინდე, გევედრები!...

●●●

საზოგადოებრივ ტუალეტში ერთ კაბინაში მყოფი გვერდით კაბინაში მყოფს ეკითხება:

– უკაცრავად ქაღალდი ხომ არ გაქვთ?

– ქაღალდი არ მაქვს, მაგრამ შემიძლია, ფანქარი შემოგთავაზოთ.

●●●

ზოოპარკის დირექტორი მეგობარს შესჩივის:

– სპილო მშიერი მყავს და რა ვქნა, არ ვიცი.

– ვერ ხედავ, გარშემო რამდენი მწვანილეულით მოვაჭრეა.

– ფული არ მაქვს და უფულოდ ვინ რას მომცემს.

– შენ სპილო გამოუშვი და...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მერაბ სეფაშვილი საკონცერტო ტურნეს გააგრძელებს

მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტები ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადადო.

მას ექიმებმა ფილტვების ანთება დაუდგინეს. მომღერალი ლევან რატიანის კლინიკაში გადიოდა მკურნალობის კურსს. მერაბი გამოჯანმრთელდა და მზად არის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილი კონცერტები გააგრძელოს.

მომღერალმა სოციალურ ქსელში სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც ათასობით გულშემატკივარს მოკითხვისა და თბილი სიტყვებისთვის მადლობა გადაუხადა.

თამო ვაშალომიძე ქალებს მოუწოდებს, დაგმონ ძალადობა

მოდელი თამო ვაშალომიძე ქალებს მოუწოდებს, არავითარ შემთხვევაში არ გაჩუმდნენ და დაგმონ ძალადობა:

– საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, საგრძნობლად იმატა ფემიციდის შემთხვევებმა, რასაც არავითარ შემთხვევაში არ აქვს გამართლება.

მე, როგორც წარსულში ძალადობის მსხვერპლი ქალი, ვალდებულად ვთვლი თავს მოვუწოდო ქალებს, რომ არასდროს, არავის და არაფრის გამო არ შეურიგდნენ ძალადობას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში უმძიმეს შედეგამდე მივყავართ. ყველა, ვინც ხართ ძალადობის მსხვერპლი ქალი, ნუ დამალავთ, ხმამაღლა თქვით ამის შესახებ. დახმარებისთვის მიმართეთ პოლიციას, შესაბამის ორგანიზაციებს, თუნდაც თქვენს გარშემომყოფებს, რათა დაცული იყოს შენი უფლებები და ყველაზე მთავარი – შენი სიცოცხლე.

გელა დაიაური მკითხველს შეხვდა

ყაზბეგის ქუჩაზე გახსნილ წიგნის ბაღში ახალ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი – ლიტერატურული შეხვედრები დაიწყო. შეხვედრების პირველი სტუმარი მუცოელი პოეტი გელა დაიაური აღმოჩნდა. ის შეხვედრების წამყვანთან – ფოტოხელოვან გოგა ჩანადირთან ერთად მონატრებულ მკითხველს შეხვდა და მათთვის საინტერესო თემებზე ისაუბრა.

გოგა ჩანადირი:

– აი, ასეთი კარგი ამბავია – წიგნების ბაღში, რომელიც ყაზბეგის 9-შია, საბურთალოს გამგეობამ ლიტერატურული შეხვედრები დაიწყო. იდეა წიგნიერებისა და ქართველი ავტორების მხარდასაჭერად შეიქმნა. მაქვს პატივი, ამ შეხვედრებს მე გავუძღვე. პირველი სტუმარი – პოეტი გელა დაიაური.

თემურ ჩხეიძის უკანასკნელი სპექტაკლი რუსთაველის თეატრში გათამაშდება



რეჟისორ თემურ ჩხეიძის უკანასკნელი სპექტაკლი – „სეილემის პროცესი“ 25 და 26 ივნისს რუსთაველის ეროვნული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გათამაშდება.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმოქმედებიანი სპექტაკლი „სეილემის პროცესი“ დრამის ფაკულტეტის, დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის, IV კურსის სადიპლომო სპექტაკლია. მისი დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძეა, რეჟისორის ასისტენტი – მაია დობორჯგინიძე, მხატვარი – ელენე აფრიამაშვილი, მეტყველების პედაგოგი – ეკატერინე ბაკურაძე, ტექნიკური რეჟისორი – რუსუდან ბარბაქაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ: დაჩი ბაბუნაშვილი, ვიტალი შენგელი, ანჟელიკა აგაბაბოვი, ანა გულედანი, ვიქტორია ბოკერია, ნუცა აბაშიძე (IV კურსი. რეჟისორი გიორგი სიხარულიძე), ანი დიდმანიძე, ელენე ბეჟუაშვილი, ჯორჯი დვალიშვილი, ნინო ანანიაშვილი, ნინო (ნუკა) ქევხიშვილი, გიორგი წერეთელი, სალომე კუცია, გოგა ბარბაქაძე (რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი), სანდრო სამხარაძე, ნიკა აფციაური, ნიკოლოზ გვაზავა (IV კურსი. რეჟისორი სოსო ნემსაძე), გიორგი რაზმაძე (თეატრალური კომპანია „ჰარაკი“) და ნიკოლოზ ბაქრაძე.

ჯგუფის ხელმძღვანელი – პროფესორი თემურ ჩხეიძე.

სამეფო უბნის თეატრი 25 წლისაა

მსახიობ იზა გიგოშვილისა და მისი მეუღლის, რეჟისორ მერაბ თავაძის მიერ დაარსებული სამეფო უბნის თეატრი 25 წლის გახდა.

დათა თავაძე, – რეჟისორი:

– სამეფო უბნის თეატრი 25 წლის გახდა. ბევრ რამეს ვგეგმავდით ამ დღისთვის, მაგრამ ბევრი რამის გამო (არ უნდა ახსნა) გადავწყვიტეთ, რომ ჯერ არ გვეზეიმება. მომავალი სეზონი იქნება 25-ე სეზონი და ვეცდებით, განსაკუთრებული გამოვიდეს.

ბევრს არაფერს ვიტყვი – სხვებმა ილაპარაკონ, უბრალოდ, ტრადიციულად ვულოცავ დაბადების დღეს ჩვენს ქალბატონს. ვულოცავ და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩვენთან ერთად იყო და არის – მსახიობებს, დრამატურგებს, რეჟისორებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, ქორეოგრაფებს – ყველა შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფს, ვისაც ოდესმე უმუშავია და მუშაობს ჩვენთან, ვინც დღემდე აძლიერებს ჩვენს ჯერ კიდევ გასაძლიერებელ მოძრაობას, ვისაც სულ მცირე წვლილი შეაქვს ცვლილებაში, ენის გათავისუფლებაში, თავისუფლებაში.

ბოლო 8 წლის მანძილზე სამეფო უბნის თეატრი იყო თემურ ჩხეიძის და მისი სახელოსნოს, მისი ძიებისა და სწავლების, მისი სპექტაკლების სივრცეც. მისი სტუდენტური, სასწავლო, თუ პროფესიული ნამუშევრების უმრავლესობა ჩვენთან განხორციელდა და ეს ჩვენი თეატრის ცხოვრების უბედნიერესი ნაწილი იყო, რომლის შედეგებსაც კიდევ ვნახავთ მომავალშიც. 25-ე სეზონის მიწურულს მისი ახალი სპექტაკლის პრემიერაც იგეგმებოდა... ყველაფერს გავუმკლავდებით და გაასმაგებული ძალით გავაგრძელებთ სვლას, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად. უთქვენოდ ვერაფერს შევძლებთ.

მადლობა ყველას, ვინც ჩვენთანაა, მადლობა ჩვენს საუკეთესო მაყურებელს.

„უნდა ვეძებოთ!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. კოვბოების შეჯიბრი; 3. ვაზის, ღვინის პატივსაცემად გამართული რიტუალი ძველად საქართველოში; 4. შვედური საავტომობილო კომპანია; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 15. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 18. განდიდების მანია; 19. აჭარული ხის სახლი; 20. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა